
შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრის ფინანსური და
მმართველობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის, დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019-2020 წ.წ 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9
საქმიანობის შედეგები 2019-2020 წ.წ 31 დეკემბრის მდგომარეობით	10
საქმიანობის შედეგები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	11
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	13
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	14
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	15
2. მომზადების საფუძვლები	16
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	17
4. ფულადი სახსრები.....	19
5. სავაჭრო მოთხოვნები	19
6. გაცემული სესხი და საპროცენტო შემოსავალი.....	20
7. სხვა მოკლევადიანი აქტივები	20
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	21
9. ძირითადი საშუალებები	21
10. არამატერიალური აქტივები	22
11. ინვესტიციები	22
12. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	22
13. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	22
14. ამონაგები.....	23
15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	23
16. გაყიდვების თვითღირებულება	23
17. კომუნალური ხარჯები.....	24
18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	24
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	25
მმართველობის ანგარიშგება.....	26

L.T.D.
"BALANCE- GROUP"



შპს
„ბალანს-ჯგუფი“

საიდენტიფიკაციო ნომერი : 404870430

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი-ს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი-ს“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული საქმიანობის შედეგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

რადგან კომპანიის 2019 წლის ფინანსური საქმიანობა არააუდირებულია, ჩვენ მოგვეთხოვება 2020 წლის კომპანიის საქმიანობის ამსახველ ანგარიშგებების საწყისი და საბოლოო ნაშთებზეც მოვიპოვოთ შესაბამისი მტკიცებულება. საჭირო გახდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ საბუღალტრო ნაშთების სამართლიანობაზე ჩაგვეტარებინა მოკვლევა, მოგვეპოვებინა მტკიცებულებები და გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება; ჩვენ მოვითხოვეთ შედარების აქტები და დასტურის წერილები ბანკებთან და კომპანიის დებიტორ-კრედიტორებთან, რათა დაგვედასტურებინა ნაშთების სიზუსტე. ფულადი სახსრების ანგარიშებზე არსებული ნაშთები, გამოთხოვილი შედარების აქტებით, დადასტურებულია ბანკების მიერ. კომპანიას გააჩნია მოთხოვნები, რომლის ძირითადი ნაწილი ეკუთვნის სსიპ სოციალური სააგენტოს, წერილობით მოთხოვნილი იქნა არსებული ნაშთის აღიარება/უარყოფაზე პასუხი, რაზედაც ვერ მოვიპოვეთ ვერანაირი დასტური, თუმცა კომპანიის ბუღალტრულ ჩანაწერებს ადასტურებს სააღრიცხვო დოკუმენტები. მოკლევადიანი მოთხოვნებს გვიდასტურებს მხარეები, ასევე მოვიპოვეთ დასტურის წერილები საკრედიტო ნაშთებთან დაკავშირებით.

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას, შესაბამისად ვერ

მივიღეთ საკმარისი მტკიცებულება კომპანიის ბალანსზე აღრიცხულ სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობებისა და შესაბამისი ღირებულების დადასტურება, რომელიც კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 721589 ლარის ღირებულებით, შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ დავადასტურეთ აღნიშნულ მარაგებთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი.

ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი მტკიცებულება, საანგარიშო პერიოდის დასასრულს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულ ძირითადი საშუალებებთან დაკავშირებით. ასევე ვერ მივიღეთ ალტერნატიული გზებით აღნიშნული ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და შესაბამისი ღირებულების დადასტურება, რომელიც კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 4911053 ლარის შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ დავადასტურეთ აღნიშნულ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ცვეთის ხარჯი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის მარტში გამოცხადებული პანდემიის (COVID-19) შედეგად საქართველოს მთავრობამაც მიიღო მთელი რიგი შეზღუდვები და ღონისძიებები. მიღებული ღონისძიებების შედეგად სამედიცინო ცენტრი გახდა კოვიდ პაციენტების მიმღები ცენტრი. კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის ჩატარება, რადგან მათი დიდი ნაწილი ინახებოდა კლინიკის სამკურნალო განყოფილებებში, სადაც განთავსებული იყვნენ კოვიდით ინფიცირებული პაციენტები. შიდა ინვენტარიზაცია ჩატარდა, თუმცა არ იყო ყოვლისმომცველი არსებული გარემოებების გამო.

ჩვენ არ დავსწრებვართ სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშო პერიოდის დასასრულს, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნული შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი მტკიცებულება კომპანიის ბალანსზე აღრიცხულ სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობებისა და შესაბამისი ღირებულების დადასტურება, რომელიც კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 1253876 ლარის ღირებულებით. ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 671634 ლარის ოდენობით. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ დავადასტურეთ აღნიშნულ მარაგებთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი.

ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი მტკიცებულება, საანგარიშო პერიოდის დასასრულს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულ ძირითადი საშუალებებთან დაკავშირებით. ასევე ვერ მივიღეთ ალტერნატიული გზებით აღნიშნული ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და შესაბამისი ღირებულების დადასტურება, რომელიც კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 7024812 ლარის ღირებულებით. ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4991502 ლარის ოდენობით. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ დავადასტურეთ აღნიშნულ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ცვეთის ხარჯი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-5 და მე-14 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანია 2021 წელს აქტიურად მონაწილეობდა კოვიდ 19-ის მართვის სახელმწიფო პროგრამებში, რასაც არსებითი გავლენა ჰქონდა კომპანიის ამონაგების ზრდაზე. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, საქართველოში კოვიდ 19-ის გავრცელების შემცირების შედეგად, შემცირდა კომპანიის ამონაგები კოვიდპროგრამებიდან. შესაბამისად ხელმძღვანელობისთვის ნათელი ხდება აღნიშნულის გავლენა, კომპანიის ფინანსურ შედეგებზე გრძელვადიან პერიოდში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და საწარმოს ფუნქციონირებადობის უნარი და მასთან

დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას.
- ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი, აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა

ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოაშადათ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე, მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ საშუალოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით **აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისათვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ლილი ტურიშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-465519)

შპს „ბალანს-ჯგუფი“-ს სახელით თბილისი, საქართველო

26 ნოემბერი, 2022 წელი



შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	96 821	140 391
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3 002 205	1 907 695
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6	77 966	45 368
მარაგები	8	671 634	721 589
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	53 923	
სხვა არამატერიალური აქტივები	10	26 087	32 610
ძირითადი საშუალებები	9	4 991 502	4 911 053
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	11	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		876 614	-
სულ აქტივები		9 796 752	7 758 706
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		2 644 685	3 231 342
ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		7 224	41 134
საგადასახადო ვალდებულებები		3 901	3 192
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	12	971 099	1 296 428
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13	7 786 962	5 083 395
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		11 413 871	9 655 491
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		268 464	484 914
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-1 885 583	-2 381 699
სულ საკუთარი კაპიტალი		-1 617 119	-1 896 785
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9 796 752	7 758 706
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 902 549	2 815 043
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11 413 871	9 655 491

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:



/ ნ.ჭელიძე/

/ლ.ორთანეზაშვილი/

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	1 521 679	96 821
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	6	115 025	77 966
გაცემული სესხები	6	888 048	876 614
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი		0	
მოკლევადიანი მარაგები	8	19 596	28 420
გრძელვადიანი მარაგები	8	1 234 280	643 214
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3 627 472	3 002 205
საინვესტიციო ქონება	11	2 280 923	
სხვა საგადასახადო აქტივი		21 503	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	25 564	53 923
სხვა გრძელვადიანი აქტივები		78 538	0
სხვა არამატერიალური აქტივები	10	20 870	26 087
ძირითადი საშუალებები	9	6 822 810	4 991 502
სულ აქტივები		16 656 308	9 796 752
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		3 766 987	2 644 685
სხვა ფინანსური ვალდებულებები	13	122 249	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	12	1 149 420	971 099
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13	6 005 716	7 786 962
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		0	3192
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		398 537	7224
სულ ვალდებულებები		11 442 909	11 413 871
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	268 464
საემისიო შემოსავალი		0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი		0	
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი		0	
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		5 213 399	-1 885 583
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	
სულ საკუთარი კაპიტალი		5 213 399	-1 617 119
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		16 656 308	9 796 752
სულ მოკლევადიანი აქტივები		5 330 839	3 902 549
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5 314 944	3 626 909


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით
 2022 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:

/ ნ.ჭელიძე/

/ლ.ორთაწეზაშვილი/



(Handwritten signature)

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი

საქმიანობის შედეგები

2019 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	14	8 292 075	5 009 019
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან		8 292 075	5 009 019
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება	16	-2 511 498	-1 336 541
საერთო მოგება		5 780 577	3 672 478
სხვა საოპერაციო შემოსავალი		555 118	255 082
დასაქმებულთა ანაზღაურება	15	-2 710 444	-2 269 933
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი		-550 042	-554 186
საპროცენტო შემოსავალი		28 760	2 095
საპროცენტო ხარჯი		-433 194	-579 503
იჯარის ხარჯი		-13 929	-26 372
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-557 596	-472 688
სულ საოპერაციო ხარჯები		-3 681 327	-3 645 505
საოპერაციო მოგება		2 099 250	26 973
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-1 603 134	--9 2057
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		496 116	-65 084
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		496 116	-65 084
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		496 116	-65 084
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-1 896 785	-1 795 934
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			7 034
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-216 450	-42 801
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		-1 617 119	-1 896 785

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით
2022 წლის 25 სექტემბერს.



(Handwritten signature)

/ ნ.ჭელიძე/
/ლ.ორთაწეზაშვილი/

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი

საქმიანობის შედეგები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები		31/12/2021	31/12/2020
ამონაგები	14	18 177 962	8 292 075
გაყიდვების თვითღირებულება	16	-6 860 778	-2 511 498
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		0	
გამოყენებული ნედლეული და მასალები		0	
საერთო მოგება		11 317 184	5 780 577
სხვა საოპერაციო შემოსავალი			555 118
დაქირავებულ პირთა გასამრგელოების ხარჯი	15	-4 679 626	-2 710 444
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		-10 000	0
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		0	
საკონსულტაციო ხარჯი		-866	-4 000
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		-4 908	-9 586
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		0	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	17	-408 204	-231 286
იჯარის ხარჯი		-5 199	-13 929
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		-130 598	-31 989
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-847 545	-555 042
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	-500 356	-280 735
საოპერაციო მოგება		4 729 882	2 503 684
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	
არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	
გაცემულ სესხებზე		0	
სავაჭრო მოთხოვნებზე		-19 425	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	
სხვა ფინანსურ აქტივებზე		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან, მოგება (ზარალში) ასახვით		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან გადაფასებიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		0	

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა		0	
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან		0	
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან		0	
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება სხვა აქტივებზე		0	
მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		0	
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		737 033	-1 603 135
სხვა ფინანსური შემოსავალი		2 158 254	28 760
საპროცენტო ხარჯი		-504 413	-433 194
სხვა ფინანსური ხარჯი			
მოგება / (ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან		0	
მიღებული დივიდენდები		0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-2 349	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		0	
მოგების გადასახადის ხარჯი		0	
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		0	
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან		0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		7 098 982	496 116

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:



/ ნ.ქელიძე/

/ლ.ორთანეზაშვილი/

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	484 914	(2 381 698)	(1 896 785)
2020 წლის მოგება	(216 450)	496 116	(1 617 119)
2020 წლის 31 დეკემბერი	268 464	(1 885 582)	(1 617 119)
2021 წლის მოგება	-	7 098 982	
2021 წლის 31 დეკემბერი	-	5 213 399	5 213 399

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით
2022 წლის 25 სექტემბერს.



/ ნ.ჭელიძე/

/ლ.ორთანეზაშვილი/

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	5 701 393	955 679
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2 996 366	-623 969
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2 017 202	1 222 340
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	687 825	1 554 050
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	737 033	-1 597 620
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	96 821	140 391
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 521 679	96 821

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:



/ ნ.ჭელიძე/

/ლ.ორთაწეზაშვილი/

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“, ს/კ: 401993508 (შემდგომში „კომპანია“) არის 2014 წლის 13 თებერვალს დაფუძნებული კომპანია.

იურიდიული მისამართი : საქართველო, თბილისი, დიღმის მასივი, ნაკვეთი 25.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. 20

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია გელა გოგიშვილი, პ/ნ. 01012003024.

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრის“ დამფუძნებელი პარტნიორის, 100% წილის მფლობელის, გელა გოგიშვილის გადაწყვეტილებით, (ოქმი #4) 2021 წლის 15 დეკემბერს კომპანიის წილის 25% გადაეცა ნიკოლოზ ჭელიძეს, პ/ნ. 01006012978.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საზოგადოებაში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

გელა გოგიშვილი (პ/ნ. 01012003024) -75%

ნიკოლოზ ჭელიძე(პ/ნ. 01006012978)-25%

2021 წლის 15 ოქტომბერს საზოგადოების სამომავლო გეგმებზე, მიზნებზე და პროექტებზე კონტროლის განხორციელების მიზნით, შეიქმნა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/ წევრი -გელა გოგიშვილი (პ/ნ. 01012003024)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი -ნიკოლოზ ჭელიძე(პ/ნ. 01006012978)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი -გიორგი გოგიშვილი (პ/ნ. 01011023085)

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“-ს დირექტორია ნიკოლოზ ჭელიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება.

COVID-19-ის გავლენა

საქართველოში COVID-19-ის პანდემიის დაწყების შემდეგ, 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა ფულადი სახსრების დაგროვებისა და შენახვის სტრატეგია (მე-2 შენიშვნა). COVID-19-ის

ვირუსის ფართო გავრცელების გამო კომპანიამ მოახდინა სათანადოდ მომზადებულ სამედიცინო კადრების მობილიზაცია. კომპანიაში დაინერგა ინფექციის პრევენციისა და გადაუდებელი დახმარების პროგრამები და სახელმძღვანელო მითითებები.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძვლები ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - რაც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კოვიდ-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2021 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებით აღრიცხული კლასების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებით, როდესაც გარკვეული მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიაჩნევენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

დასახელება	წელი
შენობა-ნაგებობა	50
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
სამედიცინო აღჭურვილობა	5-10
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ადარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ოთხიდან ათ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯების (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარება არამატერიალურ აქტივად მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც კომპანიას აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, აგრეთვე აქტივს შეეძლოს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით, ასევე უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღირიცხება მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სამედიცინო და არასამედიცინო მარაგებს და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას.

დაბეგვრა

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციასა და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად, კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია

ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1 221 782	69 115
	298 989	27 559
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში		
ნაღდი ფული საღაროში	908	147
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1 521 679	96 821

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაგენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

5. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები		
სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტო"	257 990	279 414
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	3 278 942	2 629 974
სადაზღვევო კომპანიები	5 400	10 893
დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი	12 901	14 210
მუნიციპალიტეტები	4 882	5 332
ფიზიკური პირები	67 357	62 035
	3 627 474	3 001 858

"სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" და ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიმართ არსებული მოთხოვნები წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის გაწეული მომსახურების ღირებულების სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ ასანაზღაურებელ ნაწილს.

კომპანიის მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის" ხდება ყოველთვიურად, რის შედეგადაც მხარეებს შორის ხდება შეთანხმება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაზე და თანხის ჩამორიცხვა სააგენტოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიმართ არსებული მოთხოვნა არის მიმდინარე და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

6. გაცემული სესხი და საპროცენტო შემოსავალი

კომპანიას გაცემული აქვს სესხი ურთიერთდამოკიდებულ იურიდიულ პირებზე, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით.

	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)	საპროცენტო განაკვეთი %	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საპროცენტო განაკვეთი %
გაცემული სესხი, უცხოურ ვალუტაში EUR- ექვივალენტი ლარში	593068	6.63	850305	6.63
გაცემული სესხი, უცხოურ ვალუტაში USD- ექვივალენტი ლარში	186594	6.7	110855	6.70
გაცემული სესხი ეროვნულ ვალუტაში	108387	12.6	515715	12.2
სულ:	888049		1 476 875	

7 სხვა მიმდინარე აქტივები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გადახდილი ავანსები	115025	77 966
გაცემულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	25564	-
	140589	77966

კომპანიას გაცემული აქვს სესხი ურთიერთდამოკიდებულ პირებზე. საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი აღემატება ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი პერიოდისთვის დადგენილ საპროცენტო განაკვეთს, ვადა - საშუალოდ 365 დღე.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის მარაგები მოიცავს სამედიცინო მარაგებსა და წამლებს და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ („FIFO“) მეთოდით.

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სამედიცინო მარაგები	1 234 280	649 957
არა-სამედიცინო მარაგები	19 596	21 677
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1 253 876	671 634

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშნა- ნაგებობა	ავტო და აღჭრავილ თბა	კომპიუტერ ები	ავტოსატრ ანსპორტო საშუალებე ბი	ფინანსური იჯარით აღებული სამედიცინ ო აპარატურა	სხვა	სამედიცინო ინვენტარი და სპეც ინსტრუმენტ ები	სულ
ისტორიული ღირებულება									
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		-4 908	-9 586
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		0	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	17	-408 204	-231 286
იჯარის ხარჯი		-5 199	-13 929
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		-130 598	-31 989
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-847 545	-555 042
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	-500 356	-280 735
საოპერაციო მოგება		4 729 882	2 503 684
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	
არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	
გაცემულ სესხებზე		0	
სავაჭრო მოთხოვნებზე		-19 425	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	
სხვა ფინანსურ აქტივებზე		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან, მოგება (ზარალში) ასახვით		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან გადაფასებიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		0	

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა		0	
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან		0	
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან		0	
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება სხვა აქტივებზე		0	
მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		0	
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		737 033	-1 603 135
სხვა ფინანსური შემოსავალი		2 158 254	28 760
საპროცენტო ხარჯი		-504 413	-433 194
სხვა ფინანსური ხარჯი			
მოგება / (ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან		0	
მიღებული დივიდენდები		0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-2 349	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		0	
მოგების გადასახადის ხარჯი		0	
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		0	
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან		0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		7 098 982	496 116

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

/ ნ.ჭელიძე/

ბუღალტერი:

/ლ.ორთანეზაშვილი/

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	484 914	(2 381 698)	(1 896 785)
2020 წლის მოგება	(216 450)	496 116	(1 617 119)
2020 წლის 31 დეკემბერი	268 464	(1 885 582)	(1 617 119)
2021 წლის მოგება		7 098 982	
2021 წლის 31 დეკემბერი	-	5 213 399	5 213 399

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით
2022 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

/ ნ.ჭელიძე/

ბუღალტერი:

/ლ.ორთანეზაშვილი/

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	5 701 393	955 679
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2 996 366	-623 969
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2 017 202	1 222 340
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	687 825	1 554 050
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	737 033	-1 597 620
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	96 821	140 391
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 521 679	96 821

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით
2022 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

/ ნ.ჭელიძე/

ბუღალტერი:

/ლ.ორთაწეზაშვილი/

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“, ს/კ: 401993508 (შემდგომში „კომპანია“) არის 2014 წლის 13 თებერვალს დაფუძნებული კომპანია.

იურიდიული მისამართი : საქართველო, თბილისი, დიდმის მასივი, ნაკვეთი 25.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. 20

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია გელა გოგიშვილი, პ/ნ.01012003024.

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრის“ დამფუძნებელი პარტნიორის, 100% წილის მფლობელის, გელა გოგიშვილის გადაწყვეტილებით, (ოქმი #4) 2021 წლის 15 დეკემბერს კომპანიის წილის 25% გადაეცა ნიკოლოზ ჭელიძეს, პ/ნ. 01006012978.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საზოგადოებაში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

გელა გოგიშვილი (პ/ნ.01012003024) -75%

ნიკოლოზ ჭელიძე(პ/ნ. 01006012978)-25%

2021 წლის 15 ოქტომბერს საზოგადოების სამომავლო გეგმებზე, მიზნებზე და პროექტებზე კონტროლის განხორციელების მიზნით, შეიქმნა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/ წევრი -გელა გოგიშვილი (პ/ნ.01012003024)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი -ნიკოლოზ ჭელიძე(პ/ნ. 01006012978)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი -გიორგი გოგიშვილი (პ/ნ.01011023085)

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“-ს დირექტორია ნიკოლოზ ჭელიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება.

COVID-19-ის გავლენა

საქართველოში COVID-19-ის პანდემიის დაწყების შემდეგ, 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა ფულადი სახსრების დაგროვებისა და შენახვის სტრატეგია (მე-2 შენიშვნა). COVID-19-ის

ვირუსის ფართო გავრცელების გამო კომპანიამ მოახდინა სათანადოდ მომზადებულ სამედიცინო კადრების მობილიზაცია. კომპანიაში დაინერგა ინფექციის პრევენციისა და გადაუდებელი დახმარების პროგრამები და სახელმძღვანელო მითითებები.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძვლები ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - რაც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კოვიდ-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2021 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ექვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებით აღრიცხული კლასების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებით, როდესაც გარკვეული მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

დასახელება	წელი
შენობა-ნაგებობა	50
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
სამედიცინო აღჭურვილობა	5-10
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ოთხიდან ათ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯების (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარება არამატერიალურ აქტივად მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც კომპანიას აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, აგრეთვე აქტივს შეეძლოს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით, ასევე უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღირიცხება მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სამედიცინო და არასამედიცინო მარაგებს და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას.

დაბეგვრა

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციასა და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად, კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია

ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1 221 782	69 115
	298 989	27 559
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში		
ნაღდი ფული სალაროში	908	147
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 521 679	96 821

ხელმძღვანელობა არ მოეღოს ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაგენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

5. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები		
სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტო"	257 990	279 414
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	3 278 942	2 629 974
სადაზღვევო კომპანიები	5 400	10 893
დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი	12 901	14 210
მუნიციპალიტეტები	4 882	5 332
ფიზიკური პირები	67 357	62 035
	3 627 474	3 001 858

*სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ და ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიმართ არსებული მოთხოვნები წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის გაწეული მომსახურების ღირებულების სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ ასანაზღაურებელ ნაწილს.

კომპანიის მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ ხდება ყოველთვიურად, რის შედეგადაც მხარეებს შორის ხდება შეთანხმება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაზე და თანხის ჩამორიცხვა სააგენტოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიმართ არსებული მოთხოვნა არის მიმდინარე და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

6. გაცემული სესხი და საპროცენტო შემოსავალი

კომპანიას გაცემული აქვს სესხი ურთიერთდამოკიდებულ იურიდიულ პირებზე. რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით.

		2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)	საპროცენტო განაკვეთი %	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საპროცენტო განაკვეთი %
	გაცემული სესხი, უცხოურ ვალუტაში EUR- ექვივალენტი ლარში	593068	6.63	850305	6.63
	გაცემული სესხი, უცხოურ ვალუტაში USD- ექვივალენტი ლარში	186594	6.7	110855	6.70
	გაცემული სესხი ეროვნულ ვალუტაში	108387	12.6	515715	12.2
	სულ:	888049		1 476 875	

7 სხვა მიმდინარე აქტივები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გადახდილი ავანსები	115025	77 966
		-
გაცემულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	25564	-
	140589	77966

კომპანიას გაცემული აქვს სესხი ურთიერთდამოკიდებულ პირებზე . საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი აღემატება ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი პერიოდისთვის დადგენილ საპროცენტო განაკვეთს, ვადა - საშუალოდ 365 დღე.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის მარაგები მოიცავს სამედიცინო მარაგებსა და წამლებს და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ („FIFO“) მეთოდით.

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სამედიცინო მარაგები	1 234 280	649 957
არა-სამედიცინო მარაგები	19 596	21 677
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1 253 876	671 634

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობა	ავეჯი და ალჟურვილი ობა	კომპიუტერები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ფინანსური იჯარით აღებული სამედიცინო აპარატურა	სხვა	სამედიცინო ინვენტარი და სპეც ინსტრუმენტები	სულ
ისტორიული ღირებულება									
12/31/2019	151712	2,776,499	147775	37613	7174			3,625,215	6745988
შემენა	-	199238	152321	20701	5600		-	256279	634139
გასვლა		-7170						-3000	-10170
12/31/2020	151712	2968567	300096	58314	12774			3878493	7369956
შემენა	2280923	303314	360219	37609	62969	210193	317934	1383749	4956910
გასვლა	-2280923				-7174				-2288097
12/31/2021	151712	3271881	660315	95923	68569	210193	317934	5262242	10038769
ცვეთა									
აკუმულირებული ცვეთა 12/31/2019		395511	50684	15167	3501			1,370,072	1834935
პერიოდის ცვეთა	-	172912	28427	8629	1855			376697	588520
12/31/2020	-	523423	79111	23796	5355			1746769	2378454
პერიოდის ცვეთა	-	137423	66586	14425	9255	31529	47690	530597	837505
12/31/2021	-	660846	145697	38221	14610	31529	47690	2277366	3215959
საბალანსო ღირებულება									
12/31/2019	151712	2380988	97091	22446	3673			2255143	4911053
12/31/2020	151712	2445144	220985	34518	7419			2131724	4991502
12/31/2021	151712	2611035	514618	57702	53959	178664	270244	2984876	6822810

კომპანიას გაფორმებული აქვს ფინანსური იჯარის ხელშეკრულება # LA-104225 თიბისი ლიზინგთან. აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია სსიპ „მეწარმეთა განვითარების სააგენტო“-ს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში. სალიზინგო საგანი აღრიცხულია დისკონტირებული

ღირებულებით მსს ფასს-ის შესაბამისად.

10. არამატერიალური აქტივები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“	852	1065
სამედიცინო პროგრამა „მედსერვისი“	20 018	25 023
სულ :	20 870	26 087

11. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

კომპანიამ 2021 წლის ოქტომბრის თვეში შეისყიდა 2 280 923 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები, რომლითაც 17/12/2021 წელს განახორციელა ინვესტიცია 50% წილით შპს „ჩემი სივრცე“, ს/კ. 406350103.

12. მოკლევადიანი ნასესხები თანხები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სესხი პარტნიორებისგან	35610	-
სესხი იურიდიული პირები	1 113 810	34781
დარიცხული პროცენტი		19142
სულ :	1 149 420	53923

13. გრძელვადიანი სესხი

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სესხი ბანკიდან (თიბისი ბანკი)	6 005716	1 047961
თიბისი ლიზინგი	122249	-
სესხი იურიდიული პირები	-	-
სულ :	6 127965	1 047961

14. ამონაგები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსება *	17 971 079	7 907 976
პაციენტის წილი მიღებულ შემოსავალში (თანაგადახდა) და თვითღირებულებით მოსული პაციენტები	195 336	305 070
	1 857	53 405
სადაზღვევო კომპანიები და მუნიციპალიტეტები	9 690	25 624
სხვა		
სულ:	18 177 962	8 292 075

* სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსება წარმოადგენს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებულ შემოსავალს. კომპანია 2021 წელს აქტიურად მონაწილეობდა კოვიდ 19-ის მართვის სახელმწიფო პროგრამებში, რამაც გამოიწვია 2021 წლის ამონაგების ზრდა შესაძარის პერიოდთან შედარებით.

15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
შრომის ანაზღაურება	4 605 846	2 664 454
სოციალური დანარიცხები	73 780	45 990
სულ:	4 679 626	2 710 444

16. გაყიდვების თვითღირებულება

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ძირითადი მასალების დანახარჯები	6 302 910	2 249 756
დამხმარე მასალების დანახარჯები	39 614	78 270
სხვა სამედიცინო კვლევები	86 119	27 139
პაციენტების კვების ხარჯი	432 135	156 333
სულ:	6 860 778	2 511 498

17. კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
საკომუნიკაციო ხარჯი	13 045	9 847
კომუნალური ხარჯი	395 159	221 439
სულ:	408 204	231286

18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31-დეკ- 2021	31-დეკ- 2020
სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	199 837	90 580
სამეურნეო ხარჯი	24 709	77 020
ჰიგიენური საშუალებები და რეცხვა	92 474	49 451
მიმდინარე რემონტის ხარჯები	107 848	19 625
საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯი	25 975	11 653
დაზღვევის ხარჯი	11 295	5 334
საგადასახადო ხარჯი	10 365	9 586
წარმომადგენლობითი ხარჯი	7 990	1 110
ბანკის მომსახურების ხარჯი	5 888	2 556
ლიფტის მომსახურების ხარჯი	6 600	6 600
სხვა ხარჯი	7 375	7 220
სულ:	500 356	280 735

19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიმართოს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

20. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 268464 ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნულის (0) ტოლია.

21. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონიტორინგი

კომპანიის სამედიცინო საქმიანობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მხრიდან ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. კერძოდ, სააგენტო პერიოდულად ახორციელებს კომპანიის მიერ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსთან წარდგენილი შესრულებების დოკუმენტური სისრულის შემოწმებას. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლოა კომპანიას დაეკისროს ფინანსური სანქციები.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საქართველოში კოვიდ 19-ის გავრცელების შემცირების შედეგად კომპანიის საკუთრებაში არსებული კლინიკის მონაწილეობა კოვიდ 19-ის პროგრამებში შემცირდა. შედეგად, შემცირდა ამონაგები მოკლევადიან პერიოდში. ხელმძღვანელობა აფასებს აღნიშნულის გავლენას კომპანიის ფინანსურ შედეგებზე გრძელვადიან პერიოდში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. აღნიშნულმა მოვლენამ და მსოფლიოს პასუხმა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ამ მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ისეთ კომპანიებზეც, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები) რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირების დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მრავალ ფინანსურ რესურსზე წვდომაზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ აქვს არსებითი ოპერაციები რუსეთისა და ბელორუსიის ბაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან (აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებულ პირებთან), რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული ფინანსური თუ სხვა შეზღუდვები. შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე აღნიშნულ ფაქტს გავლენა არ ჰქონია. მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანია ვერ აფასებს ზემოთ აღნიშნული მოვლენების გავლენას (ან შესაძლო გავლენას) კომპანიის საქმიანობაზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:

/ ნ.ჭელიძე/

/ლ.ორთანუაშვილი/

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი „

მმართველობის ანგარიშგენა

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება - შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი „

საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი -ს/კ N 401993508

იურიდიული მისამართი - საქართველო, 3300, ქ. მცხეთა, სამხედროს N20

სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი -

საკონტაქტო ტელეფონი - (+995 32) 2 24 42 40 ; 577 27 77 02 ;

ელ.ფოსტა - info@mmc.com.ge

დირექტორი - ნიკოლოზ ჭელიძე

საქმიანობის სფერო („ეკონომიკური საქმიანობის სახეების“-სეკ-ის მიხედვით)-სამედიცინო მომსახურების გაწევა.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კლინიკის საქმიანობა

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრის“ ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა.

კლინიკა წარმოადგენს მრავალპროფილურ საავადმყოფოს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მიერ, 2017 წლის 06 თებერვლის გამოცემული N 02-203/ო ბრძანების საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული დაწესებულების ნებართვა N000842, რომლის საფუძველზეც ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო საქმიანობის სანებართვო მოწმობის დანართის ფარგლებში.

ნებართვები :

1. სტაციონარული დაწესებულების ნებართვა N000842;
2. სამეანო-გინეკოლოგიური საქმიანობა N003959;
3. ლაბორატორიული საქმიანობა -კლინიკური დიაგნოსტიკა N003965;
4. ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა N003966;
5. ლაბორატორიული საქმიანობა-იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა N003967;
6. ონკოლოგია - N003956;
7. ქირურგიული პროფილის საქმიანობა N003957;
8. რადიოლოგიური საქმიანობა -რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა N003962;
9. რადიოლოგიური საქმიანობა - კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა- N003963;
10. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENSY –N003961;

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი„

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

11. რენიმაგია- N003960;
12. ოტორინოლარინგოლოგია - N003964;
13. დიალიზი - N003955;
14. ნეიროქირურგია- N003958;
15. ინტერვენციული კარდიოლოგია - N003954;

კლინიკა ფუნქციონირებს 2017 წლის მარტიდან, რომელიც დღეის მდგომარეობით არის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება 147 საწოლზე, კლინიკა მოსახლეობას სთავაზობს ამბულატორიულ, კლინიკურ/სტაციონარულ და დიაგნოსტიკურ მომსახურებას.

კლინიკას ძირითადად შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი არქიტექტურული გარეგნული იერსახე. შენობას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების, გათბობის და კონდენცირების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენარჩუნების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები.

გარდა ამისა, კლინიკას გააჩნია საკუთარი, სამედიცინო ჟანგბადების მიმღები (წარმოება) დანადგარი. ასევე, კლინიკას გააჩნია 10 (ათი) ტონიანი ჟანგბადის ავზი.

კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

კლინიკა მომსახურებას 100-ზე მეტი დასახელების სამედიცინო მომსახურებას აწვდის. კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების არასრული ჩამონათვალია: ლაბორატორიული საქმიანობა-კლინიკური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა იმუნოლოგიური და სროლოგიური დიაგნოსტიკა; ონკოლოგიური და ქირურგიული პროფილის საქმიანობა; ნეიროქირურგიული საქმიანობა; ინტერვენციული კარდიოლოგიური მომსახურება და სხვა.

სტატისტიკურად დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად :

დასახელება	2021	2020	2019	2018
დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით	153	160	186	172

კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გაიდლაინებითა და პროტოკოლებით. კლინიკის ექიმები სისტემატურად გადიან პროფესიულ მომზადებას. ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები, სხვადასხვა დაავადებების და მდგომარეობის მართვის შესახებ .

მზარდი იყო პაციენტების რაოდენობა 2021 წელს, რაც გამოწვეული იყო COVID 19 პანდემიით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს კლინიკა სრულად ფუნქციონირებდა მხოლოდ კოვიდ პაციენტების მიღებით.

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი„

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

2021 წელს კლინიკის შემოსავლები, მიღებულია მხოლოდ კოვიდ ინფიცირებული პაციენტების მომსახურებიდან.

კლინიკის შემოსავლების დაფინანსების ძირითადი წყარო არის საყოველთაო ჯანდაცვი სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის შედეგად, პაციენტებზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი (კლინიკა მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში).

კლინიკის 2021 წლის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით 2020 წელთან შედარებით აღინიშნება შემოსავლების ზრდა 9 881 257 ლარით .

განვითარების გეგმები

2021 წლის სამედიცინო და საფინანსო მონაცემები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო წელს დაგეგმოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

2022 წლისათვის დაგეგმილია გეგმიური დიალიზის განყოფილების მოწყობა - რაც თავისთავად მოითხოვს კლინიკაში დამატებითი სამედიცინო აპარატურის შემოტანას/ყიდვას და ასევე სამედიცინო პერსონალის დამატებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეს დამატებითი ფუნქციები კლინიკას მოუტანს გარკვეული ტიპის დამატებით შემოსავალს.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2021 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კლინიკა საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კლინიკის ძირითად ფინანსულ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები .

საკრედიტო რისკები - არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითად ნაწილს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის კლინიკა საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა დაუფარავი საკრედიტო ტანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კლინიკა საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კლინიკის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კლინიკა შეძლებისდაგვარად ახორციელებს რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის .

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი „

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

ლიკვიდურობის რისკი -ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი დინანსური რესურსების არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

საოპერაციო რისკები

კანონმდებლობა -კომპანია მუდმივად ექვემდებარება მონიტორინგს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებლების მხრიდან, შესაბამისად ყოველთვის არსებობს სანქციების დაკისრების ან ჯარიმის თანხით სახელმწიფოს მხრიდან ისაღები თანხების შემცირების რისკი.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულების პროცესში საკანონმდებლო ბაზით მოთხოვნილია რიგი პროცედურების ასახვა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, რომელთა დიდი ნაწილი არ უკავშირდება პაციენტის სამედიცინო მომსახურებას და არ ცვლის შემთხვევის შესახებ არსებით ინფორმაციას, კერძოდ პაციენტის დაწესებულებაში მისვლის დრო, ფორმა, შეტყობინების დრო, პაციენტის გადახდის ქვითრის ნომერი და ა. შ. ასეთი ტიპის ტექნიკური ხარვეზები იწვევს საჯარიმო სანქციების დაკისრებას. პროგრამის განმახორციელებლის მხრიდან შემოწმების და კონტროლის განხორციელები სშედგად დაკისრებული ჯარიმის აღსრულებას, განმახორციელებელი იწყებს ჯარიმის დაკისრებიდან ერთი კალენდარულ თვეში, მიუხედავად იმისა, კომპანია ეთანხმება თუ არა დაკისრებულ საჯარიმო სანქციას.

კომპანიას აქვს შემუშავებული პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობის ვალდებულებების მიაღწევად- ხარისხის მენეჯმენტი, დოკუმენტაციის მონიტორინგი და ა, შ. სამედიცინო დოკუმენტაციის აღრიცხვისთვის კომპანიაში მოქმედებს შიდა მონიტორინგის სამსახური. კომპანიის იურიდიული სამსახური ჩართულია

მნიშვნელოვანი კონტრაქტის განხილვის პროცესში. ფინანსური დეპარტამენტი უწევს მონიტორინგს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს და მასთან შესაბამისობას აკონტროლებს.

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი„

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის ხელმძღვანელობის შეფასებით სრული, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

/ ნ.ჭელიძე/